საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/234
18/01/2023

234-21-2-202301181707

შპს „პოლივიმს“
მის: ქ. რუსთავი, მშვიდობის ქ. N48
ელ. ფოსტა: beka@polyvim.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №7129 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. რუსთავში, მშვიდობის ქ. N48-ში პოლიეთილენ-ტერეფტალატის (PET) ბოთლების რეციკლირებია და პოლიეთერის ბოჭკოს საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას და გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადების თანახმად, „გრანულაციის დროს ხდება ნარჩენი მასის გატარება ჭიახრახნში, რასაც ელექტრო გამაცხელებლები აცხელებენ, რაც ადნობს მასას და შემდეგ ფორმირდება. გამოსვლის მომენტში ჩილერი დანადგარის საშუალებით ცივდება და იჭრება გრანულებად.“ აღნიშნულიდან გამომდინარე, დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმები;
- წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, საწარმოო ტერიტორიაზე მოწყობილია სამგანყოფილებიანი გამწმენდი ნაგებობა ზომით: სიღრმე 3 მეტრი, სიგრძე 20, ხოლო სიგანე 5 მეტრი. აღნიშნული პარამეტრების გათვალისწინებით, სალექარის მოცულობა იქნება 300 $მ^3$. ამასთან, გზშ-ს ეტაპზე გათვალისწინებული იყო სამსექციანი სალექარის მოწყობა ზომით 20X3X2მ. სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს სალექარის პარამეტრები და მოცულობა;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ 2.6 თავში აღნიშნულია, რომ 2 ცალი დამაქუცმაცებლის ნაცვლად საწარმოში დამონტაჟდება 1 ცალი დამაქუცმაცებელი, თუმცა ამავე თავში, დაგეგმილი ცვლილებით ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევის წყაროების ჩამონათვალში მითითებულია 2 ცალი დამაქუცმაცებელი. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო